

თავი - 9

ნორმატულ დანახარჯთა გადახრების ანალიზი

შინაარსი

- ❖ რეალიზაციის გადახრები;
- ❖ მასალების დანახარჯების გადახრა;
- ❖ შრომითი დანახარჯების გადახრები;
- ❖ ცვლადი ზედნაღები ხარჯების გადახრები;
- ❖ მუდმივი ზედნაღები ხარჯების გადახრები;

ნორმატულ დანახარჯთა სისტემა ასახავს გადახრებს ფაქტობრივ და ნორმატული დანახარჯებს შორის, რომლებიც წარმოადგენს მნიშვნელოვან ინფორმაციას მართვისათვის, რამდენადაც საშუალებას აძლევს მმართველს შეგნიდან შეხედოს საწარმოო ერთეულის საქმიანობას.

ნორმატულ დანახარჯთა სისტემის გამოყენება მოსახერხებელია ისეთი ორგანიზაციებისათვის, რომლებიც მასობრივად აწარმოებენ ერთი სახის (ერთგვაროვან) პროდუქციას. მაგრამ ნაკლებად ეფექტურია ისეთი ორგანიზაციებისათვის, რომლებიც სხვადასხვა პროდუქციას აწარმოებენ, ან სადაც ადამიანური შრომის გამოყენების მაღალი დონეა.

გადახრების შესახებ ინფორმაციის გამოყენება წარმოადგენს პასუხისმგებლობის ცენტრების მიხედვით წარმოების დანახარჯების აღრიცხვის პროცესის ნაწილს, რომელიც განიხილება შემდეგ თავებში. ამ თავში კი განვიხილავთ ნორმატულ და ფაქტობრივ დანახარჯთა გადახრებს და მათ გამომწვევ მიზეზებს. ნორმატულ დანახარჯთა გადახრების განხილვა ხდება დანახარჯთა თითოეული ელემენტის მიხედვით.

9 . 1 . რეალიზაციის გადახრები

შესავალი

გადახრების ანალიზი დავიწყოთ რეალიზაციის გადახრით:

რეალიზაციის გადახრები შეიძლება ორი მიზეზით იყოს გამოწვეული: სარეალიზაციო ფასში განსხვავებით და რეალიზაციის მოცულობაში განსხვავებით. შესაბამისად, ადგილი აქვს:

- სარეალიზაციო ფასის გადახრას; და
- რეალიზაციის მოცულობის გადახრას

რეალიზაციის მოცულობის გადახრა. რეალიზაციის მოცულობის გადახრა გვიჩვენებს, რა გავლენას ახდენს მოგების ცვლილებაზე ფაქტობრივი რეალიზაციის მოცულობა, რომელიც გეგმურისგან განსხვავებულია.

სარეალიზაციო ფასის გადახრა. სარეალიზაციო ფასის გადახრა გვიჩვენებს, რა გავლენას ახდენს მოგების ცვლილებაზე მოსალოდნელისგან განსხვავებული ფასით განხორციელებული რეალიზაცია.

მაგალითი:

ფაქტობრივი რეალიზაცია:

1000 ერთეული თითოეული 650ლ

გეგმიური (საბიუჯეტო) წარმოება და რეალიზაცია:

900 ერთეული

ნორმატული სარეალიზაციო ფასი:

700 ლ ერთეულის

საბიუჯეტო მოგება ერთეულზე:

205 ლ

მოგეთხოვებათ:

გამოითვალეთ რეალიზაციის მოცულობის გადახრა და სარეალიზაციო ფასის გადახრა.

ამოხსნა:**რეალიზაციის მოცულობის გადახრა**

საბიუჯეტო რეალიზაცია	900 ერთეული
ფაქტობრივი რეალიზაცია	1000 ერთეული
სხვაობა	100 ერთეული

დამატებით გაყიდული 100 ერთეული X საბიუჯეტო მოგება 205ლ = 20.500ლ (ხელსაყრელი)
(მეტი გაიყიდა, მაშასადამე მეტია მოგება)

სარეალიზაციო ფასის გადახრა

საბიუჯეტო სარეალიზაციო ფასი	700 ლარი
ფაქტობრივი სარეალიზაციო ფასი	650 ლარი
სხვაობა	50 ლარი

გადახრა: გაყიდული რაოდენობა 1000 X ფასის გადახრა 50 ლ = 50.000 ლ (არახელსაყრელი)
(დაბალი ფასი, ცოტაა მოგება)

9 . 1 . 1 . რეალიზაციის გადახრების გამომწვევი შესაძლო მიზეზები

რეალიზაციის გადახრები შეიძლება გამოწვეული იყოს შემდეგი მიზეზებით:

- ფასების დაუგეგმავი ზრდა (სარეალიზაციო ფასიის გადახრა);
- ფასების დაუგეგმავი შემცირება, მაგალითად, ბაზრის ახალ სეგმენტზე შეღწევის მცდელობისას (სარეალიზაციო ფასის გადახრა);
- მოთხოვნის მოულოდნელი დაცემა, ეკონომიკის დაღმავლობით გამოწვეული (რეალიზაციის მოცულობის გადახრა);
- დამატებითი მოთხოვნის, ფასის შემცირებით გამოწვეული (რეალიზაციის მოცულობის გადახრა);
- მოთხოვნის დაუკმაყოფილებლობა, რაც გამოწვეულია წარმოების სირთულეებით (რეალიზაციის მოცულობის გადახრა).

9 . 2 . მასალების დანახარჯების გადახრა

არსებობს მასალების დანახარჯების სამი სხვადასხვანაირი გადახრა:

- მასალების მთლიანი გადახრა;
- მასალების ფასის გადახრა;
- მასალების გამოყენების გადახრა.

9 . 2 . 1 . მასალების მთლიანი გადახრა

მასალების დანახარჯების მთლიანი გადახრა არის სხვაობა (განსხვავება)

- ა) ფაქტობრივი წარმოებისთვის საჭირო პირდაპირი მასალის ნორმატულ დანახარჯსა და;
 - ბ) პირდაპირი მასალის ფაქტობრივ დანახარჯს შორის.
- მასალების მთლიანი გადახრის გაანალიზება შესაძლებელია ორი შემადგენელი გადახრის მიხედვით: მასალების ფასის გადახრა და მასალების გამოყენების გადახრა;
 - მასალების ფასის გადახრის ანალიზი გვიჩვენებს, კომპანია მასალებისთვის მოსალოდნელზე უფრო მეტს იხდის თუ ცოტას;
 - მასალების გამოყენების გადახრის ანალიზის მიზანია განვსაზღვროთ, რა გავლენას ახდენს მოგების ცვლილებაზე ის ფაქტი, რომ მიღწეული ფაქტობრივი წარმოებისთვის გამოყენებულია მოსალოდნელისგან განსხვავებული რაოდენობის მასალა.

ამონარიდი X პროდუქტის ნორმატული დანახარჯების ბარათიდან:

პირდაპირი მასალები (40კვ.მ X 5.30ლ ერთ კვ.მ-ზე) = 212 ლარს

პირდაპირი მასალების ხარჯვის ფაქტობრივი შედეგები:

წარმოებული იყო 1000 ერთეული და გამოყენებული იყო 39000 კვ.მ მასალა 210.600ლ ღირებულების, ფაქტობრივი ფასი 5.40 ლარი.

მოგეთხოვებათ:

გამოითვალეთ მოცემული პერიოდის მასალების მთლიანი გადახრა, ასევე მასალების ფასებისა და გამოყენების გადახრები X პროდუქტისთვის.

ამოხსნა:

(1) ფაქტობრივი რაოდენობა X ფაქტობრივი ფასი 39.000 X 5.40ლ		ლარი	ლარი
		210.600ლ	
(1)- (2)	ფასის გადახრა		3.900(ა)
(2) ფაქტობრივი რაოდენობა * ნორმატული ფასი 39.000*5.30ლ		206.700ლ	
(3)- (2)	გამოყენების გადახრა		5.300(ბ)
(3) ნორმატული რაოდენობა* ნორმატული ფასი (ფაქტობრივი წარმოებისთვის) 1.000*40*5.30ლ		212.000ლ	
(3)- (1)	მთლიანი გადახრა		1.400(ბ)

შემოწმება: მასალების მთლიანი გადახრა არის ფასისა და გამოყენების გადახრების ჯამი. ე.ი. 5.300(ბ)+ 3.9000(ა)=1.400(ბ)

9 . 2 . 2. მასალების გადახრების გამომწვევი მიზეზები

მასალების ფასის გადახრები შეიძლება გამოწვეული იყოს შემდეგი მიზეზებით:

- მასალების მოწოდებით სხვადასხვა წყაროდან;
- საერთო ფასის მოულოდნელი ცვლილებით;
- შესყიდვის მოცულობაზე დამოკიდებული ფასდათმობის ცვლილებით;
- ერთი ხარისხის მასალის შეცვლით სხვა ხარისხის მასალით.

მასალების გამოყენების გადახრა შეიძლება გამოწვეული იყოს:

- შედარებით მეტი ან ნაკლები ოდენობის ნარჩენებით;
- პროდუქციის დიზაინის შეცვლით;
- ერთი ხარისხის მასალის შეცვლით სხვა ხარისხის მასალით; დაბალი ხარისხის მასალით მუშაობა შეიძლება უფრო რთული იყოს, ამიტომ შესაძლოა უფრო მეტი ნარჩენები წარმოიქმნას და შესაბამისად, მასალების გამოყენების არახელსაყრელი გადახრა წარმოიშობა.

9 . 3 . შრომითი დანახარჯების გადახრები

არსებობს შრომითი დანახარჯების სხვადასხვანაირი გადახრა;

- შრომითი დანახარჯების მთლიანი გადახრა;
- შრომის ანაზღაურების გადახრა;
- შრომის ნაყოფიერების გადახრა.

9 . 3 . 1 . შრომითი დანახარჯების მთლიანი გადახრა

შრომითი დანახარჯების მთლიანი გადახრა არის სხვაობა (განსხვავება):

- ა) ფაქტობრივი წარმოებისთვის საჭირო ნორმატულ პირდაპირ შრომით დანახარჯსა და
- ბ) პირდაპირი შრომის ფაქტობრივ დანახარჯს შორის.
 - შრომის ანაზღაურების გადახრის ანალიზი გვიჩვენებს, კომპანია სამუშაო ძალას მოსალოდნელზე უფრო მეტს უხდის თუ ცოტას.
 - შრომის ნაყოფიერების გადახრის ანალიზი გვიჩვენებს, კომპანია მოსალოდნელზე უფრო მეტ სამუშაო ძალას იყენებს თუ უფრო ცოტას.

მაგალითი:

ამონარიდი X პროდუქტის ნორმატული დანახარჯების აღრიცხვის ბარათიდან:

ლ

პირდაპირი შრომა:

შედულება (24სთ 5ლ/სთ)

120

საბოლოო დაბეჭადვა (15სთ 4.80ლ/სთ)

72

ფაქტობრივი შედეგები ხელფასისთვის:

წარმოება - წარმოებულია 1.000 ერთეული

შემდგომი საამქრო - 23.900 სთ, მთლიანად 131.450ლ ღირებულების სთ –ში 5.50ლ.

საბოლოო დამუშავების საამქრო - 15.500სთ, მთლიანად 69.750ლ ღირებულების სთ-ში 4.50ლ.

მოვთხოვბათ:

გამოითვალეთ მოცემული პერიოდის შრომითი დანახარჯების მთლიანი გადახრა, ასევე შრომის ანაზღაურება და შრომის ნაყოფიერების გადახრები X პროექტისთვის.

ამოხსნა:

შრომითი დანახარჯების გადახრები შემდგომი საამქროსთვის

1) ფაქტობრივი რაოდენობა* ფაქტობრივი ფასი 23.900* 5.50ლ/სთ		131.450ლ	
(1)-(2)	შრომის ანაზღაურების გადახრა		11.950ლ(ა)
2) ფაქტობრივი რაოდენობა* ნორმატული ფასი 23.900*5.00ლ/სთ		119.500ლ	
(3)-(2)	შრომის ნაყოფიერების გადახრა		500(ბ)
3) ნორმატული რაოდენობა* ნორმატული ფასი ფაქტობრივი წარმოებისთვის) 1.000*24სთ*5.00ლ/სთ		120.000ლ	
(3)-(1)	მთლიანი გადახრა		11.450(ა)

შემდგომი საამქროში შრომითი დანახარჯების მთლიანი გადახრა არის ფასისა და შრომის ნაყოფიერების გადახრების ჯამი.ე.ი.

$$11.950(ა)+500(ბ)=11.450(ა)$$

შემაჯობა:

შრომითი დანახარჯების მთლიანი გადახრა შემდგომი საამქროში არის სხვაობა:

(ა) ფაქტობრივი წარმოებისთვის საჭირო ნორმატულ პირდაპირ შრომით დანახარჯსა (კორექტირებული ბიუჯეტი) 120.000 და

(ბ) პირდაპირი შრომის ფაქტობრივ დანახარჯს- 131.450-ს შორის.

$$სხვაობა= (131.450-120.000)= 11.450(ა), ანუ იგივეა, რაც უკვე გამოვთვალეთ.$$

შრომითი დანახარჯების გადახრები საბოლოო დამუშავების საამქროსთვის

1) ფაქტობრივი რაოდენობა X ფაქტობრივი ფასი 15.500 x 450		69.750	
(1)-(2)	ფასის გადახრა		4.650(ბ)
2) ფაქტობრივი რაოდენობა X ნორმატული ფასი 15.500 x 4.80სთ		74.400	
(3)-(2)	შრომის ნაყოფიერების გადახრა		2.400(ა)
3) ნორმატული რაოდენობა X ნორმატული ფასი (ფაქტობრივი წარმოებისთვის) (1.000 x 15სთ) x 4.80სთ		72.000	

(3)-(1)	მთლიანი გადახრა	21.250(ზ)
---------	-----------------	-----------

საბოლოო დაბეშვების საამქროში შრომითი დანახარჯების მთლიანი გადახრა არის ფასისა და შრომის ნაყოფიერების გადახრების ჯამი. ე.ი. $4.650(ზ) + 2.400(ა) = 2.250(ზ)$

9 . 3 . 2 . შრომითი დანახარჯების გადახრების გამომწვევეი შესაძლო მიზეზები

შრომის ანაზღაურების გადახრები შეიძლება გამოწვეული იყოს:

- სახელმწიფოს ხელფასების პოლიტიკით;
- ზენორმატული ნამუშევარი ღროისთვის ან პრემიებისთვის გეგმურისგან/ საბიუჯეტოსგან განსხვავებული თანხების გადახდით;
- ერთი თანრიგის შრომის შეცვლით უფრო მაღალი ან დაბალი კვალიფიკაციის შრომით.

შრომის ნაყოფიერების გადახრები შეიძლება გამოწვეული იყოს:

- სამუშაო პირობების შეცვლით ან მუშაობის მეთოდების შეცვლით, მაგალითად, ზედამხედველობის გაუმჯობესება;
- სწავლის შედეგით;
- მატერიალური სტიმულირების სქემების შემოღებით ან პერსონალის პრაქტიკული წვრთნით;
- ერთი თანრიგის შრომის შეცვლით უფრო მაღალი ან დაბალი კვალიფიკაციის შრომით.

9 . 4 . ცვლადი ზედნადები ხარჯების გადახრები

ცვლადი ზედნადები ხარჯების გადახრები ძალიან გავს მასალებისა და შრომითი დანახარჯების გადახრებს, ვინაიდან პირდაპირი მასალებისა და შრომითი დანახარჯების მსგავსად, ცვლადი ზედნადები ხარჯებიც საქმიანობის დონის ცვლილებასთან ერთად იცვლება.

ცვლადი ზედნადები დანახარჯების გადახრებს იწვევს იმ ბაზის ცვლილება, რომლის საფუძველზეც მიეკუთვნა ზედნადები დანახარჯი პროდუქციას. (მაგ. ჩარხსაათები; კაცსაათები; გამოშვებული პროდუქციის მოცულობა.)

ყველაზე ხშირად ცვლადი ზედნადები ხარჯები იცვლება ნამუშევარ კაცსაათებთან ერთად. გამოსათვლელია ცვლადი ზედნადები ხარჯების შემდეგი სახის გადახრები:

- ცვლადი ზედნადები ხარჯების მთლიანი გადახრა;
- ცვლადი ზედნადები ხარჯების ღირებულების გადახრა;
- ცვლადი ზედნადები ხარჯების ათვისების (შთანთქმის) გადახრა.

9 . 4 . 1 . ცვლადი ზედნადები ხარჯები

ნორმატიული ვიგულისხმობს, რომ ცვლადი ზედნადები ხარჯები იცვლება წარმოებულ ერთეულებზე დახარჯული პირდაპირი კაცსაათების ცვლილებასთან ერთად. მაშასადამე, ცვლადი ზედნადები ხარჯების მთლიანი გადახრა შეიძლება გამოწვეული იქნას ერთ-ერთი შემდეგი მიზეზით:

- ცვლადი ზედნადები ხარჯები ერთ საათზე განსხვავებული იყო მოსალოდნელისგან (ღირებულების გადახრა);
- ფაქტობრივი წარმოებისთვის ნამუშევარი იყო მოსალოდნელზე მეტი ან ნაკლები საათები (ათვისების (შთანთქმის) გადახრა).
- თუ ცვლადი ზედნადები ხარჯები იცვლება არა პირდაპირი კაცსაათების, არამედ წარმოების მოცულობაში ცვლილების გამო, შეუძლებელია მთლიანი დანახარჯების შემადგენელი სხვა გადახრების – ღირებულებისა და ათვისების (შთანთქმის) გადახრების – გამოთვლა.
- ასეთ სიტუაციაში, შესაძლებელია მხოლოდ ცვლადი ზედნადები ხარჯების მთლიანი გადახრის გამოთვლა ერთეულისთვის დადგენილი ცვლადი ზედნადები ხარჯების ნორმატივის გამოყენებით.

მაგალითი:

ამონარიდი X პროდუქტის დანახარჯების აღრიცხვის ბარათიდან (იწარმოება სამ საამქროში: წარმოების, შედულებისა და საბოლოო დამუშავების.)

გვერდური მომაცემები

ლარი/ერთეულზე

პირდაპირი შრომა:

შედულება (24სთ 5ლ სთ-ში)	120
საბოლოო დამუშავება (15სთ 4.80ლ სთ-ში)	72

ცვლადი ზედნადები ხარჯები:

შედულება (24სთ 1.50ლ სთ-ზე)	36
საბოლოო დამუშავება (15 სთ 1ლ სთ-ზე)	15

ფაქტობრივი შედეგები:

წარმოება	წარმოებულია 1.000 ერთეული
შედულება	23.900 სთ
საბოლოო დამუშავება	15.500 სთ

ფაქტობრივი შედეგები ცვლადი ზედნადები ხარჯების შესახებ:

შედულება	მთლიანი დანახარჯი 38.240
საბოლოო დამუშავება	მთლიანი დანახარჯი 14.900

მოგეთხოვებათ:

გამოითვალეთ მოცემული პერიოდის ცვლადი ზედნადები ხარჯების მთლიანი გადახრა, ასევე ღირებულებისა და ათვისების გადახრები X პროდუქტისათვის.

ამოხსნა:

ცვლადი ზედნადები ხარჯების გადახრები შეძლებული საამქროსთვის

ფაქტობრივი რაოდენობა X ფაქტობრივი ფასი 23.900 სთ $X 1,60$ ლ		38.240 ლ	
	ღირებულების გადახრა		2.390(ა)
ფაქტობრივი რაოდენობა X ნორმატული ფასი 23.900 სთ $X 1.50$		35.850 ლ	
	ათვისების გადახრა		150(ბ)
ნორმატული რაოდენობა X ნორმატული ფასი (ფაქტობრივი წარმოებისთვის) $(1.000 X 24$ სთ) $X 1.50$		36.000 ლ	
	მთლიანი გადახრა		2.240(ა)

ცვლადი ზედნადები ხარჯების მთლიანი გადახრა შეძლებულ საამქროში არის ღირებულებისა და ათვისების გადახრების ჯამი, ე.ი

$$2.390(ა) + 150(ბ) = 2.240(ა)$$

ცვლადი ზედნადები ხარჯების გადახრები საბოლოო დამუშავების საამქროსთვის

ფაქტობრივი რაოდენობა X ფაქტობრივი ფასი		14.900 ლ	
	ღირებულების გადახრა		600(ბ)
ფაქტობრივი რაოდენობა X ნორმატული ფასი 15.500 სთ $X 1.00$		15.500 ლ	
	ათვისების გადახრა		500(ა)
ნორმატული რაოდენობა X ნორმატული ფასი (ფაქტობრივი წარმოებისთვის) $(1.000 X 15$ სთ) $X 1.00$		15.000 ლ	
	მთლიანი გადახრა		100(ბ)

ცვლადი ზედნადები ხარჯების მთლიანი გადახრა საბოლოო დამუშავების საამქროში არის ღირებულებისა და ათვისების გადახრების ჯამი, ე.ი.

$$600(ბ) + 500(ა) = 100(ბ)$$

9 . 4 . 2 . ცვლადი ზედნადები ხარჯების გადახრების გამომწვევეი შესაძლო მიზეზები.

ცვლადი ზედნადები ხარჯების ღირებულებითი გადახრები შეიძლება გამოწვეული იყოს:

- არასწორი ბიუჯეტით, რომელიც დგება პერიოდის დასაწყისში.

- ზედნადები ხარჯებით, რომელიც შედგება მთელი რიგი ელემენტებისაგან: არაპირდაპირი შრომა, არაპირდაპირი მასალა, ტექნოლოგიური ხარჯებისა და რემონტის დანახარჯები, ელექტროენერგია და ა.შ. შესაბამისად, ღირებულების გადახრების ანალიზი სასარგებლო რომ იყოს, მიმართული უნდა იყოს დანახარჯების ცალკეულ ელემენტზე.

ცვლადი ზედნადები ხარჯების ათვისების გადახრები შეიძლება გამოწვეული იყოს:

- სამუშაო პირობებისა და მუშაობის მეთოდების შეცვლით, მაგალითად, ზედამხედველობის გაუმჯობესება;
- სწავლის შედეგით;
- მატერიალური სტიმულირების სქემების შემოღებით ან პერსონალის პრაქტიკული წვრთნით;
- ერთი თანრიგის შრომის შეცვლით უფრო მაღალი ან დაბალი კვალიფიკაციის შრომით.

მიაქციეთ ყურადღება: ცვლადი ზედნადები ხარჯების ათვისების გადახრების გამომწვევი შესაძლო მიზეზები ისეთივეა, როგორც შრომის ნაყოფიერების გადახრების.

9 . 5 . მუდმივი ზედნადები ხარჯების გადახრები

მუდმივი ზედნადები ხარჯების გადახრები გვიჩვენებს, რა გავლენას ახდენს მოგების ცვლილებაზე ფაქტობრივ და მოსალოდნელ მუდმივ ზედნადებ ხარჯებს შორის განსხვავება.

- როდესაც საქმიანობის დონე იცვლება, განმარტების თანახმად, ფაქტობრივი და მოსალოდნელი მუდმივი ზედნადები ხარჯები არ იცვლება. შესაბამისად, გამოთვლილი გადახრების დიდი ნაწილი ეყრდნობა ბიუჯეტებს. მაგრამ ის დამოკიდებულია დანახარჯთა აღრიცხვის სისტემაზე;
- დანახარჯთა სრული განაწილებით კალკულაციის სისტემაში მუდმივი ზედნადები ხარჯები შთანთქმის განაკვეთების მეშვეობით დაკავშირებულია წარმოებული ერთეულების დანახარჯთან;
- მუდმივი ზედნადები ხარჯების გადახრები დანახარჯთა სრული განაწილებით კალკულაციის სისტემაში შემდეგი სახისაა:
 - ✓ მუდმივი ზედნადები ხარჯების მთლიანი გადახრა;
 - ✓ მუდმივი ზედნადები ხარჯების ღირებულების გადახრა;
 - ✓ მუდმივი ზედნადები ხარჯების მოცულობის გადახრა.
- მუდმივი ზედნადები ხარჯების მთლიანი გადახრა იგივეა, რაც წინა თემებში ჩვენს მიერ განხილული მოცემული პერიოდის ზედნადები ხარჯების შთანთქმის დანაკლისი ან „სიჭარბე“;
- შესაძლებელია მუდმივი ზედნადები ხარჯების მოცულობის გადახრის დამატებით დაყოფა მუდმივი ზედნადები ხარჯების ათვისებისა და ეფექტიანობის გადახრად.

9 . 5 . 1 . მუდმივი ზედნადები ხარჯების მთლიანი გადახრა

მუდმივი ზედნადები ხარჯების მთლიანი გადახრა გვიჩვენებს, რა გავლენას ახდენს მოგების ცვლილებაზე განსხვავება გაწეულ ფაქტობრივ დანახარჯსა და საბიუჯეტო დანახარჯებსა და საქმიანობაზე დაყრდნობით გამოთვლილი შთანთქმის განაკვეთის მიხედვით შთანთქმული დანახარჯების სიდიდეს შორის.

9 . 5 . 2 . მუდმივი ზედნადები ხარჯების ღირებულების გადახრა

მუდმივი ზედნადები ხარჯების ღირებულების გადახრა გვიჩვენებს, რა გავლენას ახდენს მოგებაზე ის ფაქტი, რომ ფაქტობრივი მუდმივი ზედნადები ხარჯების ღირებულება განსხვავდება საბიუჯეტო (დაგეგმილი) ღირებულებისაგან. (ღირებულების გადახრა = ფაქტიურ დანახარჯს – საბიუჯეტო დანახარჯი).

9 . 5 . 3 . მუდმივი ზედნადები ხარჯების მოცულობის გადახრა

მუდმივი ზედნადები ხარჯების მოცულობის გადახრა გვიჩვენებს, ზედნადები ხარჯების შთანთქმის დანაკლისის ან სიჭარბის სიდიდეს, რომელიც იმის გამო წარმოიშობა, რომ ფაქტობრივი წარმოების მოცულობა განსხვავდება საბიუჯეტო წარმოების მოცულობისგან. (საბიუჯეტო დანახარჯებს – შთანთქმული დანახარჯები = მოცულობის გადახრას)

- წარმოების მოცულობის გაზომვა შესაძლებელია ერთეულებში ან წარმოების ნორმატულ საათებში.
- წარმოების ნორმატული საათებია = ფაქტობრივ წარმოებული ერთეულები X ერთეულების საჭირო ნორმატული საათები.

საბიუჯეტო დანახარჯები	X
გამოკლებული: ფაქტობრივი ერთეულები X მუდმივი ზედნადები	
ხარჯების შთანთქმის განაკვეთი ერთეულზე	<u>X</u>
მუდმივი ზედნადები ხარჯების მოცულობის გადახრა	X

ალტერნატიულად:

	ლ
საბიუჯეტო დანახარჯები	X
გამოკლებული: ფაქტობრივი წარმოებისთვის საჭირო	
ნორმატული საათები * მუდმივი ზედნადები ხარჯები	
შთანთქმის ნორმატული განაკვეთი	<u>X</u>
მუდმივი ზედნადები ხარჯების მოცულობის გადახრა	X

მაგალითი:

შემდეგი ინფორმაცია ეხება კომპანიის მე-4 კვარტალს.

ბიუჯეტი:

მუდმივი საწარმოო ზედნადები ხარჯები	22.960ლ
ერთეული	6.560

ფაქტობრივი:

მუდმივი საწარმოო ზედნადები ხარჯები	24.200ლ
ერთეული	6.460

მოგეთხოვებათ:

გამოითვალეთ შემდეგი:

- (ა) მუდმივი ზედნადების ხარჯების შთანთქმის განაკვეთი ერთეულზე;
- (ბ) მუდმივი ზედნადები ხარჯების ღირებულების გადახრა;
- (გ) მუდმივი ზედნადები ხარჯების მოცულობის გადახრა;
- (დ) მუდმივი ზედნადები ხარჯების მთლიანი გადახრა.

ამოხსნა:

- (ა) მუდმივი ზედნადები ხარჯების შთანთქმის განაკვეთი ერთეულზე = $22.960/6.560 = 3.50$ ლ ერთეულზე;

- (ბ) მუდმივი ზედნადები ხარჯების ღირებულების გადახრა:

ფაქტობრივი დანახარჯები	24.200
გამოკლებული საბიუჯეტო დანახარჯები	22.960
მუდმივი ზედნადები ხარჯების ღირებულების გადახრა	1.240(ა)

- (გ) მუდმივი ზედნადები ხარჯების მოცულობის გადახრა

საბიუჯეტო დანახარჯები	ლარი 22.960
-----------------------	----------------

გამოკლებული: ფაქტობრივი ერთეულები X მუდმივი ზედნადები ხარჯების შთანთქმის განაკვეთი ერთეულზე X (6.460*3.50) მუდმივი ზედნადები ხარჯების მოცულობის გადახრა X (6.460 X 3.50 = 22.610)

22.610
350 (ა)

გადახრა არახელსაყრელია, ვინაიდან მოსალოდნელზე უფრო ცოტა ერთეულები იყო წარმოებული.

- (დ) მუდმივი ზედნადები ხარჯების მთლიანი გადახრა არის ღირებულებისა და მოცულობის გადახრების ჯამი, ე.ი $1.240(ა)+350(ა)=1.590$ (ა)

შემაჯობა: მუდმივი ზედნადები ხარჯების მთლიანი გადახრა იგივეა, რაც ზედნადები ხარჯების შთანთქმის დანაკლისი/ სიჭარბე.

ფაქტობრივი ზედნადები ხარჯები	24.200
გამოკლებული: შთანთქმული ზედნადები ხარჯები (6.460*3.50)	<u>22.610</u>
მუდმივი ზედნადები ხარჯების მთლიანი გადახრა (შთანთქმის დანაკლისი)	1.590(ა)

გადახრა არახელსაყრელია, ვინაიდან ზედნადები ხარჯების შთანთქმვაში დანაკლისი გვაქვს.

9 . 5 . 4 . მუდმივი ზედნადები ხარჯების ათვისებისა და ეფექტიანობის გადახრები

შესაძლებელია მუდმივი ზედნადები ხარჯების მოცულობის გადახრა დამატებით დაიყოს ათვისებისა და ეფექტიანობის გადახრებად.

- ათვისების გადახრა გვიჩვენებს, სამუშაო ძალამ დაგეგმილ საათებზე უფრო მეტი იმუშავა, თუ ნაკლები მოცემულ პერიოდში

	ლარი
საბიუჯეტო დანახარჯები	X
გამოკლებული: ფაქტობრივი საათები* მუდმივი	
ზედნადები ხარჯების შთანთქმის განაკვეთი ერთ საათზე	<u>X</u>
მუდმივი ზედნადები ხარჯების მოცულობის ათვისების გადახრა	X

- ეფექტიანობის გადახრა გვიჩვენებს, სამუშაო ძალამ შექმნილ პროდუქციაზე მოსალოდნელზე უფრო მეტი დრო დახარჯა, თუ ნაკლები მოცემულ პერიოდში:

	ლარი
ფაქტობრივი წარმოებისთვის საჭირო ნორმატული საათები	
X მუდმივი ზედნადები ხარჯების შთანთქმის განაკვეთი ერთ საათზე	X
გამოკლებული: ფაქტობრივი საათები X მუდმივი	
ზედნადები ხარჯების შთანთქმის განაკვეთი ერთ საათზე	<u>X</u>
მუდმივი ზედნადები ხარჯების მოცულობის ეფექტიანობის გადახრა	X

- ზემოაღნიშნული ორივე გადახრა ერთობლიობაში გვიჩვენებს, რატომ განსხვავდებოდა საქმიანობის ფაქტობრივი დონე საბიუჯეტო დონისგან., ე.ი. ეს ორი გადახრა აერთიანებს მუდმივი ზედნადები ხარჯების მოცულობის გადახრას.

მაგალითი:

შემდეგი ინფორმაცია ეხება კომპანიის მე-4 კვარტალს.

ბიუჯეტი:

მუდმივი საწარმოო ზედნადები ხარჯები	22.960 ლ
ერთეულები	6.560

თითოეული ერთეულის საწარმოებლად საჭირო ნორმატული დრო არის 2 სთ.

ფაქტობრივი:

მუდმივი საწარმოო ზედნადები ხარჯები	24.200 ლ
------------------------------------	----------

ერთეული	6.460
კაცსათები	12.600 სთ

მოგეთხოვებათ:

გამოითვალეთ:

- (ა) მუდმივი ზედნაღები ხარჯების შთანთქმის განაკვეთი ერთ საათზე
- (ბ) მუდმივი ზედნაღები ხარჯების ათვისების გადახრა
- (გ) მუდმივი ზედნაღები ხარჯების ეფექტიანობის გადახრა
- (დ) მუდმივი ზედნაღები ხარჯების მოცულობის გადახრა

ამოხსნა:

- ა) საბიუჯეტო საათები = $6.560 \text{ ერთეული} \times 2 \text{ სთ} = 13.120 \text{ სთ}$
 მუდმივი ზედნაღები ხარჯების შთანთქმის განაკვეთი ერთ საათზე =
 $= 22.960 \text{ ლ} / 13.120 = 1.75 \text{ ლ საათზე}$

- ბ) საბიუჯეტო ზედნაღები ხარჯები 22.960 ლ
 ფაქტობრივი საათები X მუდმივი ზედნაღები
 ხარჯების შთანთქმის განაკვეთი ($12.600 \times 1.75 \text{ ლ}$) 22.050 ლ
 ათვისების გადახრა 910 ლ (ა)

- გ) ფაქტიური გამოშვების ნორმატული საათები X მუდმივი
 ზედნაღები ხარჯების შთანთქმის განაკვეთი (6.460×2) X 1.75 ლ 22.610 ლ
 ფაქტობრივი საათები X მუდმივი ზედნაღები
 ხარჯების შთანთქმის განაკვეთი ($12.600 \times 1.75 \text{ ლ}$) 22.050 ლ
 ეფექტიანობის გადახრა 560 ლ (ბ)

- დ) მუდმივი ზედნაღები ხარჯების მოცულობის გადახრა არის ათვისებისა და ეფექტიანობის
 გადახრების ჯამი, ე.ი.

$$910 \text{ ლ(ა)} + 560 \text{ ლ(ბ)} = 350 \text{ (ა)}. \text{ ამის შემოწმება შესაძლებელია შემდეგნაირად:}$$

- საბიუჯეტო დანახარჯები 22.960 ლ
 გამოკლებული: ნორმატული საათები X მუდმივი
 ზედნაღები ხარჯების შთანთქმის განაკვეთი ერთ
 საათზე ($6.460 \times 2 \text{ სთ} \times 1.75$) 22.610 ლ
 მუდმივი ზედნაღები ხარჯების მოცულობის გადახრა 350 ლ (ა)

თქვენ შენიშნავდით, რომ ეს იგივე ღირებულებაა, რომელიც გამოვითვალეთ წინა მაგალითში.

9 . 5 . 5 . მუდმივი ზედნაღები ხარჯების გადახრების გამომწვევი შესაძლო მიზეზები
 მუდმივი ზედნაღები ხარჯების ღირებულების გადახრა შეიძლება გამოწვეული იყოს:

- გაწეულ მუდმივ ზედნაღებ ხარჯებთან დაკავშირებული ფასების ცვლილებით, მაგალითად, ქარხნის ქირის ზრდა;

- სეზონური განსხვავებებით, მაგალითად, ზამთარში გათბობისა და განათების დანახარჯები. როდესაც წლიური ბიუჯეტი დაიყოფა ოთხ თანაბარ კვარტლად, არავითარი “შელავათები” არ გაითვალისწინება სეზონური ფაქტორების გამო და არც ის ფაქტი, რომ, საზოგადოდ, ზამთარში უფრო დიდია გათბობისა და განათების დანახარჯები, ვიდრე ზაფხულის თვეებში (ცხადია, წლის მანძილზე სეზონური ეფექტი განეიტრალებს).

მუდმივი ზედნადები ხარჯების მოცულობის გადახრები შეიძლება გამოწვეული იყოს:

- წარმოების მოცულობის ცვლილებით, რაც, თავის მხრივ, გამოწვეულია მოთხოვნის ცვლილებით, ან მარაგის დონის შესახებ კომპანიის პოლიტიკის ცვლილებით;
- შრომის ან მანქანა-დანადგარების მწარმოებლურობის ცვლილებით;
- გაფიცვებით განპირობებული წარმოების დანაკარგებით.

გადახრების ანალიზის განხილვა გაგრძელდება შემდეგ თავებში, რომელიც დაკავშირებული იქნება პასუხისმგებლობის ცენტრების მიხედვით აღრიცხვასთან.